მუხლი 5. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს ღირებულება განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2012 წლის 08 მაისის №171 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო მომსახურების ტარიფების თანახმად ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს მოცულობის შესაბამისად.
2. სახელშეკრულებო თანხა საორიენტაციოდ შეადგენს 560.00 (ხუთას სამოცი) ლარს.
3. შემსყიდველი გაეცნო ზემოაღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებული, შესაბამისი საექსპერტო ან სპეციალური სამუშაოების ღირებულებას (რასაც ადასტურებს ხელშეკრულებაზე ხელმოწერით), რომელსაც შემსყიდველი იხდის ნაღდი/უნაღდო ანგარიშსწორებით, ექსპერტის მიერ ექსპერტის დასკვნაზე ხელმოწერის შესრულებისა და შემსყიდველისათვის სათანადო წესით (მოკლე სატელეფონო შეტყობინებით ან სხვაგვარი წესით) ექსპერტის დასკვნის მომზადების შესახებ ინფორმაციის მიწოდებიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

1. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
ბ) ხელი შეუწყოს შემსრულებელს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებაში;
გ) სრულყოფილი სახით წარმოადგინოს საექსპერტო სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მასალები ან/და უზრუნველყოს ექსპერტის ან სპეციალისტის დაშვება ობიექტზე.

2. შემსყიდველი უფლებამოსილია:

მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული, ხარისხიანი და ჯეროვანი შესრულება.

3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შემსყიდველის 2012 წლის 11 ივლისის №47 წერილობითი მომართვის საფუძველზე, გაუწიოს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №255 დადგენილებით დამტკიცებული საინჟინრო-ტექნიკური საექსპერტო მომსახურება;
ბ) საექსპერტო კვლევის ჩასატარებლად საჭირო მასალები მიიღოს და ჩაიბაროს კანონით დადგენილი წესით;
გ) ხარისხიანად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი სამუშაო მე-4 მუხლით გათვალისწინებულ ვადაში;
დ) გადასცეს შემსყიდველს საექსპერტო სამუშაო (დასკვნა) მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გადაცემის (მათ შორის ელექტრონული ფორმით) შემდეგ;
ე) შემსყიდველის მიერ საკვლევი მასალის/ობიექტის წარმოუდგენლობის ან არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში, შემსყიდველის მომართვიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მოითხოვოს საჭირო მასალა/ობიექტი;
ვ) მოთხოვნა საჭირო მასალის/ობიექტის წარმოდგენაზე განახორციელოს: წერილობითი ფორმით; ტელეფონით (სატელეფონო საუბარი ექსპერტის მიერ დადასტურებულ უნდა იქნეს შესაბამისი ოქმის შედგენით); ელექტრონული ფოსტით ან ფაქსით (ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით ან შესაბამისი ოქმის შედგენით.